

შპს „სიბელ თერმი“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

შინაარსი:

ფინანსური ინფორმაცია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5


ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	6-
17	

შპს სიბელ თერმი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარიში)

	2023	2022
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	809,824	2,843,304
არამატერიალური აქტივები	17,628	2,484
მიწის ნაკვეთები	-	3,321,173
საინვესტიციო ქონება	-	2,163,765
სხვა გრძელვადიანი აქტივები	-	4,285,000
სულ გრძელვადიანი აქტივები	827,452	12,615,726
მოკლევადიანი აქტივები		
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	247,589	399,683
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	9,697,719	6,574,349
მარაგები	15,852,136	11,392,781
სულ მოკლევადიანი აქტივები	25,797,444	18,366,813
სულ აქტივები	26,624,896	30,982,539
მთლიანი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	-	1,753,793
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	8,906,130	19,949,553
სულ კაპიტალი	8,906,130	21,703,346
ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხები	10,581,627	4,765,455
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	10,581,627	4,765,455
მოკლევადიანი ვალდებულებები		
ვალდებულება თანამშრომელთა მიმართ	6,100	5,858
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	7,015,563	4,382,875
საგადასახადო ვალდებულებები	115,476	125,005
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	7,137,138	4,513,738
სულ ვალდებულებები	17,718,766	9,279,193
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	26,624,896	30,982,539

დირექტორი:




მთავარი ბუღალტერი




შპს სიბელ თერმი

მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2023 წლის დასრულებული წლისათვის


(ლარში)

	2023	2022
ამონაგები	35,968,108	36,233,071
თვითღირებულება	(23,681,785)	(24,836,922)
საერთო მოგება	12,286,323	11,396,149
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	(4,246,557)	(3,819,555)
საოპერაციო მოგება	8,039,767	7,576,594
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	463,653	513,089
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება	(412,172)	1,244,159
საპროცენტო ხარჯები	(605,249)	(201,499)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(172,865)	(18,068)
განსაკუთრებული ხარჯები	(342,762)	(195,626)
მოგება დაბეგვრამდე	6,970,372	8,918,649
გადახდილი მოგების გადასახადი	(406,208)	(350,459)
გაუნაწილებელი მოგება	6,564,164	8,568,190

დირექტორი:




მთავარი ბუღალტერი:




შპს სიბელ თერმი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2021 წლის 31 დეკემბერი	2,593,826	13,286,625	15,880,451
გაუნაწილებელი მოგება	-	8,568,190	8,568,190
პერიოდის სრული შემოსავალი	-	8,568,190	8,568,190
გაცემული დივიდენდი	-	(1,905,263)	(1,905,263)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	(840,033)		(840,033)
2022 წლის 31 დეკემბერი	1,753,793	19,949,553	21,703,346
გაუნაწილებელი მოგება	-	6,564,164	6,564,164
პერიოდის სრული შემოსავალი	-	6,564,164	6,564,164
საწესდებო კაპიტალის ზრდა	(1,753,793)	(17,607,586)	(19,361,379)
2023 წლის 31 დეკემბერი	-	8,906,130	8,906,130

დირექტორი:




მთავარი ბუღალტერი :



1. ზოგადი ინფორმაცია

შპს სიბელ თერმი (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2012 წლის 13 დეკემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 404968282.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბითუმო -საცალო ვაჭრობა რკინა-კაველით, წყალგაყვანილობის და გასათბობი მოწყობილობებით და ინვენტარით. შპს სიბელ თერმი საქართველოს ბაზარზე ახდენს 300 – მდე დასახელების საქონლის იმპორტს, ესენია: სხვა და სხვა მოდელების და სიმძლავრის გათბობის ქვაბები, სხვა და სხვა ზომის პანელური და სექციური რადიატორები, საფართოებელი ავზები, ბოილერები, საიზოლაციო მილები, კოლექტორები, კანალიზაციის და წყლის მილები და ფიტინგები. კომპანია აღნიშნული პროდუქტების იმპორტს ახორციელებს ძირითადად თურქეთიდან, ასევე ჩინეთიდან და იტალიიდან. კომპანიას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გააჩნია ერთი საწყობი ქ. თბილისი, წერეთლის 110, ბაქრაძის 3/5. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, წერეთლის 110, ბაქრაძის 3/5. 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია ელჩინ მამედოვი. კომპანიის დირექტორია თეიმურაზ ჯაფარიძე.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ამ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

ფინანსური ინსტრუმენტები

ტერმინების განმარტებები:

აქტივის თვითღირებულება არის აქტივის შეძენის ან შექმნის დროს გადახდილი ფული ან ფულის ეკვივალენტების ან სხვა სახის საზღაურის რეალური ღირებულების თანხა და მოიცავს საოპერაციო ხარჯებს.

ცვეთადი ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული, ნებისმიერი ძირითადი დაფარვის გამოკლებით, პლუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის – ჩამოწერილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყის აღიარებაზე გადავადებულ ოპერაციის ღირებულების ცვეთას და ნებისმიერი პრემიის ან ფასდათმობის ცვეთას ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტი ხარჯი არ არის წარდგენილი ცალცალკე და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის მიმდინარე ღირებულებაში.

სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზრებზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ

აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, რომელთა ვადიანობა არის 12 თვემდე. 12 თვეზე მეტი ვადით შეზღუდული სახსრები არ ჩაირთვება ფულში და ფულის ეკვივალენტებში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია ანგარიშგების შედგენის თარიღით ახდენს ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის შეფასებას. თუ არსებობს ობიექტური საფუძველი იმისა, რომ ამორტიზებული ღირებულებით ასახული აქტივის გაუფასურებით გამოწვეული იქნება ზარალი, ზარალის მოცულობა აისახება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე მოცულობას შორის (სამომავლო ზარალის გამოკლებით, რომელსაც ადგილი არ ჰქონია), რომელიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ე.ი. იმ ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც გაანგარიშებულია თავდაპირველად აღიარებისას). აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირება შესაძლებელია, რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. ზარალის აღიარება უნდა მოხდეს მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

თუ შემდგომ პერიოდში გაუფასურების ზარალის თანხა მცირდება და შემცირება შესაძლოა ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების აღრიცხვის შემდგომ მოვლენას. ხდება წინასწარ აღიარებული გაუფასურების ზარალის კომპენსირება. გაუფასურების ზარალის ნებისმიერი შემდგომი კომპენსირება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ პირობით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება მის ამორტიზებულ ღირებულებას კომპენსირების დღეს.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სესხების, სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეტებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე, საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისთვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალი ფულადი გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

ძირითადი საშუალებები

ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

მიწას ცვეთა არ ერიცხება, ხოლო დანარჩენ ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის და გამოშვებული პროდუქციის რაოდენობის შესაბამისად.

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
შენობები	20 წელი
კომპიუტერული ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	10 წელი
ოფისის აღჭურვილობა	10 წელი
სარეკლამო ბანერები	10 წელი
ინვენტარი	10 წელი
ავეჯი	10 წელი
სხვა ინვენტარი	10 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	10 წელი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	10 წელი

არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენენ საადრიცხო პროგრამები (10 წლიანი სასარგებლო მომსახურების ვადით). არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალის თანხით. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილის მეთოდით.

დაბეგვრა

საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისგან. მიმდინარე გადასახადი ანგარიშდება წლის დასაბეგრი მოგებიდან. დასაბეგრი მოგება განსხვავდება მოგებისგან, რომელიც წარდგენილია სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, რადგან აღნიშნული არ მოიცავს ისეთ შემოსავლებსა და ხარჯებს, რომლებიც ამ პერიოდში არ არის დასაბეგრი ან გამოსაქვითი. კომპანიის მიმდინარე გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდება, როგორც საგადასახადო აქტივები.

შემოსავალი

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და

ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროდუქცია გადაეცემა მყიდველს, ხოლო როდესაც მყიდველს გააჩნია საქონლის უკან დაბრუნების უფლება, კომპანია გადაავადებს შემოსავლის აღიარებას იმ დრომდე, სანამ საქონლის დაბრუნების ვადა არ ამოიწურება.

თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საექვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2021 წლის 31 დეკემბრის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი	ევრო	აშშ დოლარი	თურქული ლირა
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8844	2.7020	0.1443

კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.9753	2.6894	0.0910
-------------------------------------	--------	--------	--------

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

• ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლობის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

• მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

შენიშვნა -4
ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	საინვესტი ციო ქონება	შენობები	კომპიუტერუ ლი ტექნიკა და პერიფერიულ ი მოწყობილობ ები	ინვენტარი	ავტო მობილური	სხვა ინვენ ტარი	სატრანსპ ორტო საშუალებ ები	იჯარით აღებული ქონების კეთილმ ოწყობა	ბიოლოგ იური აქტივი	ნაგებობე ბი	მანქანა- დანადგ არები	სოფლის მეურნეო ბის მანქანა- დანადგა რები	ჯამი
ლარში														
2022 წლის ბოლოს მდგომარეობით	3,321,173	2,163,765	2,118,644	23,704	5,554	89,080	-	783,513	24,412	301,427	124,576	2,549	5,873	8,964,270
შესყიდვა	-	346,318	2,964,653	6,410	1,650	67,099	-	215,372	-	-	-	-	-	3,601,502
გასვლა	3,321,173	2,510,083	5,083,297	-	-	15,161	-	199,431	-	301,427	124,576	2,549	5,873	11,563,570
გაუფასურება														-
შიდა ჯგუფური რეკლასიფიკაცია														-
გადაფასების რეზერვი														-
2023 წლის ბოლოს მდგომარეობით	-	-	-	30,114	7,204	141,018	-	799,455	24,412	-	-	-	-	1,002,203
დაგროვილი ცვეთა														-
2022 წლის ბოლოს	-	-	432,556	4,255	1,329	17,496	-	131,029	13,629	-	33,220	850	1,664	636,029
ცვეთის ხარჯი	-	-	52,966	2,645	636	13,182	-	50,401	2,441	-	12,458	255	587	135,571
გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა	-	-	485,522	-	-	2,625	-	42,040	-	-	45,678	1,105	2,251	579,221
2023 წლის ბოლოს	-	-	-	6,900	1,965	28,053	-	139,390	16,070	-	-	-	-	192,379
საბალანსო ღირებულება														
2022წლის ბოლოს	3,321,173	2,163,765	1,686,088	19,449	4,225	71,584	-	652,484	10,782	301,427	91,356	1,700	4,209	8,328,241
2023წლის ბოლოს	-	-	-	23,214	5,239	112,966	-	660,064	8,341	-	-	-	-	809,824

არამატერიალური აქტივები

ლარი

2022 წლის ბოლოს

შემოსავლა

გასვლა

2023 წლის ბოლოს

პროგრამები	ჯამი
6,468	6,468
17,400	17,400
	-
23,868	23,868

დაგროვილი ამორტიზაცია

2022 წლის ბოლოს

პერიოდის ამორტიზაციის ხარჯი

გასულის დაგროვილი ამორტიზაცია

2023 წლის ბოლოს

პროგრამები	ჯამი
3,984	3,984
2,256	2,256
6,240	6,240

საბალანსო რირებულება

2022 წლის ბოლოს

2023 წლის ბოლოს

პროგრამები	ჯამი
2,484	2,484
17,628	17,628

ფული და ფულის ექვივალენტები

ლარში	31/12/2023	31/12/2022
ფული სალაროში	29,553	136,370
ფული საბანკო ანგარიშებზე	218,036	263,313
	247,589	399,683

სავაჭრო და სხვა
მოკლევადიანი მოთხოვნები

	31/12/2023	31/12/2022
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	9,997,118	6,873,748
საექვო ვალების ანარიცხების რეზერვი	(299,702)	(299,702)
სხვა მოთხოვნები	303	303
	9,697,719	6,574,349

მარაგები

ლარში	31/12/2023	31/12/2022
საქონელი	15,842,392	11,367,911
სხვა მარაგები	9,744	24,870
	15,852,136	11,392,781

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

ლარში	31/12/2023	31/12/2022
სავაჭრო ვალდებულებები	7,018,578	4,382,774
გადასახელი ხელფასები	6,100	5,858
გადასახელი მომსახურება	(3,015)	-
სხვა ვალდებულება	-	101
საგადასახადო ვალდებულებები	115,476	125,005
	7,137,138	4,513,738

სესხები

ლარი	გრძელვადიანი	
	31/12/2023	31/12/2022
ბანკის სესხები	10581627	4,765,455
სულ სესხები	10581627	4,765,455

ამონაგები

ლარი	31/12/2023	31/12/2022
შემოსავალი რეალიზაციიდან	35,968,108.43	36,233,071.00
	35,968,108.43	36,233,071.00

თვითღირებულება

ლარი	31/12/2023	31/12/2022
მზა პროდუქციის თვითღირებულება	23,681,785.10	24,836,922.00
	23,681,785.10	24,836,922.00

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ლარი	31/12/2023	31/12/2022
საგარანტიო მომსახურების გაცემის საკომისიო	100,920.00	78,780.00
შრომის ანაზღაურება	2,407,089.47	1,547,859.10
მივლინების ხარჯები	78,756.95	17,772.74
მომსახურების ხარჯები	610,111.16	855,357.32
საერთო დანიშნულების საწვავის ხარჯი	197,638.87	206,136.90
მიმდინარე რემონტის ხარჯები (საერთო ადმინისტრაციული)	124,430.93	68,312.75
სატრანსპორტო მომსახურების ხარჯები	-	1,716.95
საბანკო მომსახურების, საკომისიოს და ინკასაციის ხარჯები	22,353.85	29,444.41
დაზღვევის ხარჯები	87,177.82	74,890.21
საიჯარო ქირის ხარჯი	159,781.99	149,981.31
კომუნალური ხარჯები	15,146.64	10,219.39
ბანკის საგარანტიო მომსახურება	19,748.64	22,101.45
სოფლის მეურნეობის ხარჯი	78,169.02	347,715.15
სარეკლამო ხარჯი	153,375.93	125,027.53

სოციალური დანარიცხები	41,296.34	34,113.50
ქონების გადასახადი	(1,665.09)	40,118.35
ცვეთა და ამორტიზაცია	127,338.75	186,656.38
სხვა და სხვა	24,885.41	23,351.36
	4,246,556.68	3,819,554.80

სხვა შემოსავალი/ხარჯი ლარი	31/12/2023	31/12/2022
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	463,653.40	513,089.20
საკურსო სხვაობით მიღებული შემოსავალი	137,594.18	1,596,768.94
საკურსო სხვაობით მიღებული ზარალი	(549,765.72)	(352,610.08)
ბანკის სესხის პროცენტი	(605,249.42)	(201,498.93)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(172,865.31)	(18,067.76)
სხვა ხარჯები	(342,761.92)	(195,626.22)
	(1,069,394.79)	1,342,055.15

მოგების გადასახადის ხარჯი ლარი	31/12/2023	31/12/2022
მიმდინარე მოგების ხარჯი	(406,208.09)	(350,459.00)
გადახდილი მოგების გადასახადი	(406,208.09)	(350,459.00)

1. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2024 წელს დამფუძნებლებმა მიიღეს გადაწყვეტილება წინა წლის დივიდენდის განაწილების შესახებ;